სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 11 (4550) • 24 მაისი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

თბილისის 139-ე საჯარო – 50

სკოლის მესაძიებლეთა დაფასების კვირეული ანუ – კარგად იცვიან, ვის მხრებზე დგანან

გიორგი ხურციძე (XI კლასი)

ნახევარსაუკუნოვან სახელოვან სკოლას საიუბილეო წელი უდგას.

მაშინდელი **მე-8 ლეგიონის** ახალ დასახლებაში 1967 წლის პირველ სექტემბერს **ახალი 139-ე საშუალო** (მაშინ არ ერქვა საჯარო) **სკოლა** გაიხსნა. აქ პირველად აწკრიალდა ზარი და მოუხმო სწავლის მძებნელებს.

ახლახან რედაქციამ ამ სკოლიდან მიიღო ვრცელი წერილი იუბილისადმი მიძღვნილი სასწავლო კვირეულის ჩატარების შესახებ, რომლის შინაარსსაც უცვლელად გთავაზობთ.

* * *

ნახევარი საუკუნის განმავლობაში **139-ე სკოლის** პედაგოგიურმა კოლექტივმა თავისი შრომისმოყვარეობით, საზოგადოების, ქვეყნისა და ერის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის წყალობით, მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღი ჩაწერა ჩვენი სკოლის განვითარების ისტორიაში. ამჟამად მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 56 მასწავლებელი, რომელთაც სათავეში უდგას ახალგაზრდა, ენერგიული დირექტორი **ნათია ფხალაძე**. მას მხარს უმშვენებენ გამოცდილი მოადგილეები – **ირმა ჯაჯანიძე** და **თეა კვესიტაძე**. მათი უშუალო დახმარებით სკოლაში სასწავლო პროცესი და კლასგარეშე მუშაობა მაღალ დონეზე დგას.

სხვა კათედრებთან ერთად, სკოლაში ნაყოფიერად ფუნქციონირებს **მათემატიკის** კათედრაც, მას ხელმძღვანელობს შემოქმედი, მუდამ სიახლეებზე ორიენტირებული პედაგოგი – **ლია ჯანიაშვილი**. მათემატიკის კათედრაზე მოღვაწეობენ ჩინებული მასწავლებლები: **ია კვირტია, ია გელაშვილი** და **ეკა ტუხაშვილი**. კათედრა ძლიერია იმითაც, რომ აღნიშნულ პედაგოგებთან ერთად მოღვაწეობს დიდი გამოცდილების მქონე ინიციატივიანი, ჭაბუკური გზნებით და ნოვაციებით გატაცებული, დედაქალაქის **„წლის საუკეთესო მასწავლებლის“** კონკურსში **ორგზის** გამარჯვებული პედაგოგი – **მერი ჩიქოვანი**. მას კათედრის წევრები **თავიანთ მასწავლებლად** თვლიან, მოძღვრის ფუნქციას აკისრებენ.

მარიამ ნაცვლიშვილი (X კლასი).

კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმა, რომ მაისის თვეში ჩაეტარებინათ მათემატიკის კვირეული. იგი მიეძღვნებოდა სკოლის საიუბილეო თარიღს დაარსებიდან **50-ე წლისთავს**, საინტერესო პროექტი შეიმუშავეს: აღენიშნათ დიდი ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს **ილია ვეკუას** დაბადებიდან 110-ე წლისთავი.

მზადება იანვრიდან დაიწყო. განაწილდა ფუნქციები კათედრის წევრებს შორის. **მერი ჩიქოვანმა** შეადგინა V-IX კლასებისთვის **„დაუსწრებელი ტურის“** საკითხები, რომელიც მოიცავდა მონაცემების შეგროვებას, როგორც სკოლის განვითარების ისტორიის, ისე მათემატიკის განვითარების ისტორიის შესახებ **ილია ვეკუას** ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაბამისად. **„დაუსწრებელი ტურის“** ძირითად ნაწილში წარმოადგინეს საკონკურსო ამოცანები, რომელშიც გამოკვეთილი იყო საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული რიცხვები: **1967, 2017; 50; 139**.

ეს თემატიკა ორი თვით ადრე დაურიგდა V-IX კლასების ყველა მოსწავლეს. ამავდროულად დერეფანში თვალსაჩინოდ გამოიკრა კვირეულის სამოქმედო გეგმა და ჩატარების თარიღი – **01. 05 – 05. 05. 2017 წ.** გამოფენის საკონკურსო საკითხები: კედლის გაზეთები, კროსვორდები, თავსატეხი ამოცანები, იუბილისადმი მიძღვნილი ხელნაკეთობები, ნახატები. პროექტში შედიოდა საკუთარი ლექსები, მოთხრობები.

სკოლას ჰყავს მათემატიკური ნიჭითა და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ბევრი მაღალკლასელი. ამიტომ მაღალკლასელებისგან შეიქმნა **ორი კომისია**. **პირველი** კომისია კვირეულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეაგროვებდა „დაუსწრებელი ტურის“ ნამუშევრებს, შეამოწმებდა, შეაფასებდა და მათგან საუკეთესოს მოამზადებდა პრეზენტაციისათვის.

აღნიშნული კომისია განისაზღვრა ოთხი წევრისგან: **ხურციძე გიორგი** (თავმჯდომარე), **ზურაბიშვილი დია, ნაცვლიშვილი მარიამი, მანთიძე თამარი.**

მეორე კომისიას ევალებოდა დერეფანში გამოკრული მასალის შემოწმება და შეფასება. მისი წევრები იყვნენ: **ჟვანია ნიკა** (თავმჯდომარე), **ბუკია მარიამი** და **ეგრისელაშვილი თეონა**.

კვირეულის I დღეს (01. 05. 17) მოეწყო დაუსწრებელი ტურის შედეგების პრეზენტაცია.

I კომისიის წევრებმა, სკოლის საუკეთესო მოსწავლის **გიორგი ხურციძის** ხელმძღვანელობით ერთი კვირის მანძილზე დიდი სამუშაო შეასრულეს. შეაგროვეს **„დაუსწრებელი ტურის“** 100-მდე ნამუშევარი, ყველა გულისყურით შეამოწმეს, შეაფასეს და სწორედ კვირეულის პირველ დღეს მოახდინეს საუკეთესო ნამუშევრების წარდგენა. ობიექტურად გამოავლინეს 45 გამარჯვებული. საუკეთესო ნამუშევრები ჰქონდათ: **მარინე იმერლიშვილს, ნინო ხარაზიშვილს, ლუკა სამხარაძეს, ნიკა სამხარაძეს, გიორგი ყველიაშვილს, სალომე ტაბატაძეს, ლიკა გოშუას, ნიკა დანელიას, ნიკოლოზ კოკაიას, გიორგი ჯინჭარაძეს, ნიკოლოზ გულიტაშვილს, ნიკოლოზ ადეიშვილს, სალომე ბლიაძეს, თამარ ბუკიას, დავით ხურციძეს, სალომე მამულაშვილს, ლელა ბადაშვილს, სერგი ლეპერტს, ლიზი ოდიშარიას, ნატა ღაღანიძეს, ლუკა კრწანიშვილს, თინათინ ჩქარეულს, გიორგი ადიკაშვილს, დიანა ნალიანს, თორნიკე ქემაშვილს, ნინო ბაქრაძეს, გალიანა აოიანს, მარიამ ბაინდურაშვილს, მარიამ მოლიანს, მარიამ ზურაშვილს, ალა იმერლიშვილს, ტატიანა გელაშვილს, ნიკოლოზ ზურაშვილს, ბარბარე გაბუნიას, ვანო გრძელიძეს;** მათთან ერთად კვირეულში ჩართულობით და თვალსაჩინო შედეგებით თავი გამოიჩინეს: **ნ. ასოიანმა, გია მაჭარაშვილმა, მილენა სანაიამ, ლიზი ასოიანმა, თამაზ შარიქაძემ, კესო დგებუაძემ, მარი გოგიჩაიშვილმა, გიორგი გოგიაშვილმა, ეკა ჩუთლაშვილმა** და სხვებმა.

კვირეულის II დღეს (2. 05. 17) ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის **ილია ვეკუას** დაბადებიდან 110–ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მას ნიჭიერად უძღვებოდა X კლასის საუკეთესო მოსწავლე **მარიამ ნაცვლიშვილი**.

პირველი ნაწილი ეძღვნებოდა აკადემიკოს **ილია ვეკუას** ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მეორე ნაწილში მოსწავლეებმა წარმოადგინეს საუკეთესო ნამუშევრები, რეფერატები: „მათემატიკა და გეოგრაფია“ – **მარიამ ნაცვლიშვილმა**, „ეს საოცარი რიცხვი 7“ – **მარიამ ბუკიამ**, „პარამეტრიანი განტოლებების როლი ეროვნულ გამოცდაზე“ – **გიორგი ხურციძემ**.

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

პირველი გვერდიდან

ეფექტიანად იმუშავა II კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მათემატიკით დაინტერესებული XI კლასელი **ნიკა ჟვანია**.

კომისიას წინასწარ შემოწმებული, ქულებით შეფასებული ჰქონდა დერეფანში გამოფენილი საკონკურსო ნამუშევრები.

პრეზენტაციის შედეგად გამარჯვებულად ჩაითვალა: **გიორგი ხურციძის, ნანა შურღაიას, დეა ზურაბიშვილის, მარიამ ბუკიას, მარიამ ნაცვლიშვილის, თეონა ეგრისელაშვილის, თამარ მანთიძის, მარინე იმერლიშვილის, ნინო ბარსავას, მარიამ სიორდიას, ანა ართილაყვას, თამთა ბასილაშვილის, ნიკა მარქარიანის,** VIII[1] და VII[1] კლასის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პროექტები. მე-

11 **კლასელ ნანა შურღაიას** ხელმძღვანელობით მაღალი კლასის მოსწავლეებმა შეადგინეს 130 საკუთარი ამოცანა. ეს კრებული სამახსოვროდ გადაეცა სკოლის ბიბლიოთეკას.

თავიდან ბოლომდე ამ ორიგინალური ღონისძიება-კვირეულის სულისჩამდგმელ-ორგანიზატორი იყო დაუშრეტელი ფანტაზიისა და ენერგიის მასწავლებელი **მერი ჩიქოვანი**. ყოველ წვრილმან ნიუანსშიც კი გამოსჭვიოდა მისი საქმისადმი, მოსწავლეებისადმი დიდი ზრუნვა და სიყვარული. საერთოდ, **მერი ჩიქოვანს**, ამ შესანიშნავ მასწავლებელს, ახასიათებს ადამიანებისადმი სათნო დამოკიდებულება, ქველმოქმედების საოცარი უნარი – ბევრი ობლისთვის დედობა გაუწევია, გაჭირვებულს მხარში ამოსდგომია, თავისი საქმე გადაუდია და სხვისი გაუკეთებია. ასეთი **მერი მასწავლებელი** ყველას უყვარს. მას ყველა აფასებს.

კვირეულის III დღეს (03. 05. 17) სკოლის დაარსებიდან **50-ე წლისთავისადმი** მიძღვნილი საღამო დიდი აღფრთოვანების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. იგი გამოდგა ყველაზე განსაკუთრებული, შთამბეჭდავი, ლამაზი და ემოციებით დატვირთული. იუბილის ღისეულად აღნიშვნისთვის მაქსიმალურად გაისარჯნენ მოსწავლეები, სკოლის დირექცია და მასწავლებლები. **მერი ჩიქოვანმა** და **ლია ჯანიაშვილმა** მოიძიეს და მიაკვლიეს იმათ ადგილსამყოფელს, ვინც ჩვენი სკოლის პირველი მოსწავლეები და მასწავლებლები იყვნენ. ზოგისგან ინტერვიუ აიღეს, ზოგი მათგანი კი საღამოზე მოიწვიეს. გაკეთდა შთამბეჭდავი სტენდი: **„წარსულის ფურცლებიდან“**. საღამოს მსვლელობის დროს ეკრანზე მონაცვლეობდა სკოლის პირველი მასწავლებლების და მოწინავე კურსდამთავრებულთა სურათები. აი, როგორ გვიზიარებს ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი, ამ სკოლის ერთ-ერთი სათავესთან მდგომი **ვენერა ცალქალამანიძე** თავის მოგონებებს: „განსაკუთრებული იყო ეს დღე იმ მასწავლებლებისათვის, ვინც ამ სკოლის საძირკვლის ჩაყრას მოესწრნენ, მოწმეები იყვნენ, როგორ შენდებოდა ნანატრი ტაძარი ცოდნისა და როგორ ალამაზებდა იგი ახალდასახლებულ უბანს“. რუსული ენის მასწავლებელი **კლარა ჭყოიძე** იხსენებს, როგორ მივიდა მშენებლებთან და სთხოვა ერთი აგურის დადების უფლება მისთვისაც მიეცათ. სკოლის გახსნა საზეიმოდ მოხდა. სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად მობრძანდა **ვასილ მჟავანაძეც**, მოგვილოცა ყველას სწავლის დაწყება და გვისურვა წარმატებები. მთელი უბანი აღფრთოვანებული იყო. ძველი მასწავლებლებიდან მხოლოდ რამდენიმე შემოვრჩით: **მერი კასრაძე**, **ნონა კვასხვაძე**, **ვენერა ცალქალამანიძე**, **კლარა ჭყოიძე**, **ლილი ხუციშვილი**, **ქეთევან ცოფურაშვილი**. გვიხარია, რომ სკოლას არ ვავიწყდებით და ყოველ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაზე გვიწვევენ. არ ვავიწყდებით ჩვენს აღზრდილებს – უკვე ცხოვრების გზაზე გამოსულებს. ვიხსენებთ იმ პედაგოგებსაც, რომლებიც **აღარ არიან, მაგრამ არანაკლები ამაგი დასდეს სკოლას**, დიდი წვლილი შეიტანეს მომავალი თაობის მამულიშვილურ აღზრდაში“.

საღამოს ესწრებოდნენ სკოლის საამაყო კურსდამთავრებულები: ეკონომიკის დოქტორი, თბილისის 92-ე სკოლის დირექტორი **მიხეილ ჩიქოვანი** (1990 წელს), მათემატიკოსი **მაკა დარსანია** (1995 წელს), სამედიცინო კორპორაცია **„ევექსი“**-ის კომერციული პროექტების მენეჯერი **ნინო ქვარცხავა** (2001 წ.), სკოლა ამაყობს მისი ბუდიდან აფრენილი ისეთი სახელოვანი აღზრდილებით, როგორიც გახლავთ პოპულარული ახალგაზრდა მწერალი **დათო ტურაშვილი**, ცნობილი ისტორიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის მერიის პასუხისმგებელი მუშაკი **ჯაბა სამუშია**, გამოჩენილი ექიმი **მალხაზ ინანიშვილი**, მსახიობი **ბესო მუმლაძე**, 45-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **იზა კვანტიძე** და... ყველას ვინ ჩამოთვლის. მშობლიურ სკოლაში პედაგოგებად მოღვაწეობენ: **ლია ჯანიაშვილი, თეონა კუტალაძე, ია ნუცუბიძე, თათია ციცქიშვილი, ლელა მაზმიშვილი, ხათუნა გორდაშვილი, ეკა წერეთელი, გია ცოფურაშვილი.**

უთუოდ უნდა ვახსენოთ ამ სკოლის მესაძირკვლე და პირველი აგურის დამდები, პირველი დირექტორი **ჯეირან იაკობაშვილი**.

კვირეულის V დღეს (05. 05. 17) ჩატარდა ღონისძიების დამაგვირგვინებელი ეტაპი, შემაჯამებელი მუშაობა. მის მიმდინარეობას გაზეთში ვრცლად ვერ წარმოვადგენთ. იმას კი ვიტყვით, რომ მოეწყო გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება.

საღამოს საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდნენ ამ სკოლაში დიდად ნაღვაწი, ამაგდარი პედაგოგები: **ვარლამ შაბურიშვილი, ზაირა მასხულია, ნელი ხუციშვილი, ბორის მიშველაძე** და სხვები.

სკოლის დირექტორმა **ნათია ფხალაძემ** მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს იმისთვის, რომ ასეთი შრომატევადი სამუშაო შეასრულეს. მან კვირეულს მაღალი შეფასება მისცა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა გამარჯვებული მოსწავლეები.

ეს დიდებული კვირეული იყო ერთგვარი პროლოგ-პრელუდია სახელოვანი სკოლის იუბილისა. „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“.

კვირეულის IV დღეს (04. 05. 17) ჩატარდა ღია გაკვეთილები. მეთოდურად გამართული საუკეთესო სასწავლო პროცესი წარმოგვიდგინეს მასწავლებლებმა: **ია კვირტიამ** VII[3] კლასთან თემაზე: **„ამოცანები პროცენტებზე და მისი გამოყენების სფერო“**, **მერი ჩიქოვანმა** IX[2] კლასთან: **„წერტილის კოორდინატები სივრცეში“** (გამოიყენა რესურსი – საკოორდინატო სისტემა სივრცეში), **ლია ჯანიაშვილმა** VIII კლასთან: **„მათემატიკის გამოყენება ერთი პრაქტიკული პრობლემის გადასაჭრელად, კერძოდ, მიუწვდომელ წერტილთან დაკავშირებული მანძილის პოვნა“**.

ვენერა ცალქალამანიძე,
ბორის მიშველაძე,
ყოფილი პედაგოგები, იუბილარი სკოლის „პირველი მერცხლები“.

რედაქტორის მინაწერი: *გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია თბილისის სახელოვან 139-ე საჯარო სკოლას, მის ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს გულმხურვალედ ულოცავს **ნახევარსაუკუნოვან** იუბილეს, ახალ-ახალ წარმატებებს და უფრო გაბრწყინებას უსურვებს. დიდი მადლობა ჭაბუკური შემართებით, შემოქმედებითი გატაცებით მოღვაწე ნოვატორ პედაგოგს **მერი ჩიქოვანს** ასეთი დიდებული საიუბილეო, ორიგინალური სტილით აღბეჭდილი კვირეულის ჩატარებისათვის!*

თბილისის 129-ე საჯარო სკოლაში

ქალბატონური სიტყვა რუსთაველისა

შოთა რუსთაველის კვირეული განსაკუთრებით აღინიშნა თბილისის 129-ე საჯარო სკოლაში, იგი მიეძღვნა „იუნესკოს“ მიერ დადგენილ იუბილეს გენიოსი პოეტისა. საგანგებოდ მოემზადნენ მოსწავლეები და პედაგოგები. დირექტორის **ეკა ხიჯაკაძის** ინიციატივით კი, სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს ხელნაწერი წიგნი, სადაც **„ვეფხისტყაოსნის“** აფორიზმებია თავმოყრილი, ასევე, რუსთაველის თემაზე ჩატარდა კონფერენცია, მომზადდა სხვადასხვა თვალსაჩინოებები, კედლის გაზეთები, მოაწყვეს პროექტების გამოფენა და ფრესკების პრეზენტაცია.

„სიტყვა ქართული-რუსთაველისა“ – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ მოამზადა და მასში მონაწილეობდნენ მე-10 პირველი კლასის მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარი **მამა ვახტანგ (ასათიანი)**, გლდანი ნაძალადევის რაიონის რესურსცენტრის სპეციალისტი **თამარ სესიტაშვილი**, ამავე რაიონის სხვადასხვა სკოლის დირექტორები: **მარინე გიგაური**(მე-9 სკოლა), **თეონა მაისურაძე** (მე-8), **ლიანა ფუტკარაძე** (133-ე) და სხვები. სტუმრებს შორის იმყოფებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე **როინ ხიჯაკაძე**, რომელმაც წაგვიკითხა ამონარიდი ამ გენიალური პოემიდან.

მოსწავლეებმა შთამბეჭდავი მხატვრულ – ლიტერატურული კომპოზიცია წარმოგვიდგინეს, სადაც ნათლად იგრძნობოდა ეროვნული სულისკვეთება, ისტორიის პატივისცემა და რაც მთავარია, რუსთაველის მიმართ მოკრძალება და „ვეფხისტყაოსნის“ დიდი სიყვარული.

საღამო, კიდევ უფრო გაალამაზეს ქართული ქორეოგრაფიული ნომრებით, სადაც ნორჩმა მოცეკვავეებმა შესანიშნავად შეასრულეს „ქართული“, „ყაზბეგური“ და სხვა ეროვნული ცეკვები (ქორეოგრაფი **ნიკოლოზ მიგრიაული**).

ღონისძიებას უძღვებოდა X კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნინო ხუციშვილი.** სლაიდ-შოუს სახით, დიდ ეკრანზე ნაჩვენები იყო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ფრაგმენტები. ქალბატონმა ნინომ ქართული ენის კათედრის სხვა პედაგოგებთან: **ნანა ჯაფარიძესთან, ნანა მესხიშვილთან და მზია გოცირიძესთან** ერთად, ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა მოსწავლეებს გვერდში დადგომოდნენ, კარგად მომზადებულიყვნენ და ღირსეულად წარმდგარიყვნენ სტუმრების წინაშე.

მოსწავლეებმა გაგვაცნეს მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია მეფე გიორგისა და თამარის ეპოქაზე, ისაუბრეს ოქროს ხანის მწერლობაზე, რენესანსული კულტურის განვითარებაზე, რუსთაველის შემოქმედებაზე და მის უკვდავ პოემაზე. წარმოადგინეს ინსცენირებული სანახაობა და წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ **ქართულ** და **ინგლისურ** ენებზე.

დასასრულს, სკოლის დირექტორმა **ეკა ხიჯაკაძემ** მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ შემოქმედებითი და შემეცნებითი ღონისძიებები 129-ე სკოლაში კვლავაც გაგრძელდება, რაც უთუოდ აამაღლებს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს.

* * *

გოდერძი ჩოხელი უფრო გაითავისეს

2017 წლის 1-ლი მაისი... კიდევ ერთი ულამაზესი დღე 129-ე საჯარო სკოლის ცხოვრებაში... დღე ქართული ჯიშის, ქართული გენის, ქართული სულის ზეობისა...

გადაჭედილი დარბაზი... უამრავი საპატიო სტუმარი თუ მასპინძელი, რომლებიც მონუსხა ხარაგაულის **რეზო თაბუკაშვილის** სახალხო ლიტერატურული თეატრის უნიჭიერესმა მსახიობმა და უმშვენიერესმა ქალბატონმა, **იზა ვეფხვაძემ**, ქართული კითხვის ვირტუოზმა.

ლიტერატურული სპექტაკლი **„ამ მიწის ბედი ჩემი ბედია“** მიუძღვნა**გოდერძი ჩოხელის** ცხოვრებასა და შემოქმედებას.

დარბაზში მსხდომნი ორი საათის განმავლობაში მონუსხული ვუსმენდით ამ უნიჭიერეს ქალბატონს... იყო აღფრთოვანება, რომელსაც თან სდევდა ცრემლი, რომელიც გამოწვეული იყო ჩვენი საუკუნის გამორჩეული პიროვნების, მწერლის, რეჟისორის, როგორც თავად იტყოდა „ვარდისფერი“ კაცის, **გოდერძი ჩოხელის**, ტრაგიკული ბედით.

ეს იყო დღე, როცა ზენიტამდე მიაღწია ქართულმა ნიჭმა და, როცა, საბოლოოდ, ვირწმუნე, რომ ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც არასდროს გადაშენდება, სანამ თუნდაც ერთი ქალბატონი იზასნაირი ქართველი ივლის ჩვენ მიწაზე.

მადლობა თქვენ, ქალბატონო იზა, იმ დიდი სიამოვნებისა და თუნდაც ცრემლისათვის, რომელიც დარბაზში სუფევდა...

129-ე საჯარო სკოლის პედკოლექტივი

***

გულთბილი სიტყვა კოლეგას — იზა ვეფხვაძეს

იყო პედაგოგი ეს დიდი პასუხისმგებლობა და განსაკუთრებული მოვალეობაა ერისა და ბერის წინაშე, მაგრამ... **იზა ვეფხვაძის** პედაგოგობა ეს განგების მადლია. მადლი, რომელიც განგებამ უხვად დააბერტყა.

ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა მოძღვარი, რომ არა ერთი და ორი, არამედ მრავალი ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი არსებობდეს საქართველოში.

ქედს ვიხრი თქვენსა და თქვენი აღზრდილის წინაშე. დიდება უფალს.

რაც შეეხება ქალბატონ იზას, ღვთიური მოვლენაა, ანალოგი არც მინახავს და არც მსმენია. ვუყურებდი სცენაზე მდგომ საოცრებას და ვგრძნობდი, თუ როგორ დგებოდა ფეხზე მიწაზე გართხმული, ნაცემ-ნაბეგვი, შეურაცხყოფილი საქართველო. სიხარულის და ამოუცნობი გრძნობის ცრემლები თავისდაუნებურად მცვიოდა თვალებიდან, მცვიოდა და ვფიქრობდი: **ჩვენ გადავრჩებით, ჩვენ ვერავინ მოგვერევა, ჩვენ არ გადავშენდებით!**

იზას ტკბილი ხმა ჩამძახოდა ამ ყველაფერს და მეუბნებოდა, მე არა ვარ მარტო, ჩემს გვერდით უამრავი ნიჭიერი და პატრიოტი ქართველია. ჩვენ ყველა ერთად მუშტშეკრული ღვთის წყალობით გადავარჩენთ ჩაძირულ საქართველოს. ძალა ხომ ერთობაშია! საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

ერთ კვირაზე მეტი დრო გავიდა, რაც ქალბატონი იზა გავიცანი, ამ წერილის დაწერის დროსაც მომდის ცრემლები და ის ამოუცნობი გრძნობა მეუფლება, რომელსაც ალბათ დიდი სიყვარული ჰქვია: ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისა...

ლიანა მაისურაძე,
დაწყებითი კლასის პედაგოგი

გვერდი მოამზადა
მზია გოგოძემ

„პოლიგლოტი“ კერძო სკოლებს შორის მოწინავეა

სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიება

თბილისში მდებარეობს კერძო სკოლა **„პოლიგლოტი“**. იგი მოწოდებულია აღზარდოს პატრიოტი, მაღალი სოციალური უნარებისა და მოქალაქეობრივი შეგნების მქონე, კეთილგონიერებით, ერუდიციითა და კონკურენტუნარიანობით გამორჩეული ახალგაზრდები. საამისოდ სკოლას ჰყავს

პროფესიონალი პედაგოგები, აქვს მრავალფეროვანი თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი რესურსები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, საუკეთესო ბიბლიოთეკა; მუშაობს ინოვაციური ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან კრეატიული იდეებისა და მაღალი შემოქმედებითი უნარის მქონე მასწავლებლები. დირექტორი, ქალბატონი **მზია დაუშვილი** ხელს უწყობს მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდას, რის გამოც დირექტორსა და სკოლას მრავალი მადლობის წერილი, დიპლომი თუ სიგელი დაუმსახურებია. ინოვაციური ჯგუფის ხელშეწყობით, მოსწავლეები მონაწილეობენ განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, აქტუალურ პრობლემებზე გამართულ დებატებსა და დისკუსიებში; იღრმავებენ ცოდნას და ეჩვევიან ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, რის საუკეთესო საშუალებაც ასეთ პროექტში მონაწილეობაა. **კონფუცი ამბობს: „მოვისმინე – დამავიწყდა, ვნახე – დამამახსოვრდა, გავაკეთე – ვისწავლე“**. სკოლის გარემოსდამცველთა გუნდი **„გარემოს დამცველი პოლიგლოტელები“**, ჩართულია კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ახალ კონკურსში: **„აღმოაჩინე საქართველო“** და იბრძვის **ნიკო კეცხოველის 2018 წლის პრემიის მოსაპოვებლად**. 2016-2017 ს/წელს კი სკოლა ჩაერთო **USAID**-ისა და **აშშ-ის სატყეო სამსახურის (USFS)** გრძელვადიან გუნდურ პროექტში: **„ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე უფრო მწვანე თბილისისათვის“** და მოიპოვა გრანტი. პროექტის ავტორია ინოვაციური ჯგუფის ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მასწავლებელი **ნინო შეშაბერიძე**, თანაავტორები: ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები: **მაია აფხაზავა** და **როზა წიკლაური**. პროექტის სახელწოდებაა: **„თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება“**.

მის ფარგლებში სკოლის გარემოს დამცველთა გუნდმა და თვითმმართველობამ შეისწავლა თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გამოყოფილი ტერიტორიის მიკროკლიმატური პირობები; ასევე, ბიოლოგიის პედაგოგთან ერთად, შეარჩიეს მცენარის სახეობა, კერძოდ, ელდარის ფიჭვი, რომელიც წითელ წიგნში შეტანილი საქართველოს ენდემია და ადვილად შეეგუება ადგილის კლიმატურ პირობებს. ამასთან, მოსწავლეებმა აიღეს ნიადაგის სინჯები ქიმიის პედაგოგთან ერთად და განსაზღვრეს, რა ტიპის სასუქის მიწოდება იქნება საჭირო ნიადაგის გასანოყიერებლად.

პროექტში, თავდაპირველად, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები ჩერთვნენ. მათ ეროვნული სატყეო სააგენტოდან მოწვეული სპეციალისტების: **ზურა შოშიტაიშვილისა** და **იაკობ კაპანაძის** ხელმძღვანელობით გაიარეს ტრეინინგი და ისწავლეს ხის დარგვისა და მოვლის წესები.

მომდევნო ეტაპზე, ბიოლოგიის პედაგოგის დახმარებით, უფროსკლასელებმა მოამზადეს პრეზენტაცია ხის დარგვის წესის, ენდემური მცენარეებისა და წითელი წიგნის შესახებ, სადაც ყურადღება გაამახვილეს ელდარის ფიჭვზე. პრეზენტაციის მიზანი, უფროსკლასელების მიერ უმცროსკლასელებისათვის ხის

დარგვისა და მოვლის წესების სწავლება და მათი პროექტში ჩართვა იყო.

პროექტის მიმდინარეობისას სკოლას ესტუმრა ცნობილი ფოტოჟურნალისტი **გოგა ჩანადირი** და მოუთხრო ბავშვებს, რაოდენ მნიშვნელოვანია გარემოზე

ზრუნვა და მისი მოფრთხილება. მოსწავლეები იყვნენ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში, სადაც მოისმინეს ლექცია: **„ტყის მდგრადი მართვა“**. სემინარზე მოსწავლეებმა საქართველოში ტყის სექტორში არსებული მდგომარეობის, პრობლემების, მათი გადაჭრის გზების მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. საინფორმაციო შეხვედრას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი – **ეკატერინე ბალარჯიშვილი** უძღვებოდა.

შემდეგ, სკოლის თითოეულ კლასში ჩატარდა გამოკითხვა და მოსწავლეებმა შეარჩიეს მოხალისეები, რომლებიც ჩაერთვნენ პროექტში. შერჩეულმა მოსწავლეებმა (I-IX კლასები) უფროსკლასელებისაგან მოისმინეს უკვე მომზადებული პრეზენტაცია, ისწავლეს, როგორ უნდა დარგონ ხეები, მოუარონ მათ და დაინაწილეს საქმე. 2017 წლის 27 აპრილს პროექტის ფარგლებში გაიმართა დასკვნითი ღონისძიება. მოხალისე მოსწავლეებმა, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, დარგეს ნერგები. ამ ღონისძიებას დაესწრნენ აშშ-ის სატყეო სამსახურის (USFS და USAID) წარმომადგენელი **ბელა გორდონი**, აშშ-ის სატყეო სამსახურის კოორდინატორი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში **მარიამ თევზაძე** და ნაძალადევის გამგეობის წარმომადგენლები. ნერგების მოვლის პასუხისმგებლობას ყოველ წელს მომდევნო მე-10 და მე-11 კლასები აიღებს, ეს წინადადება თავად ბავშვებმა წამოაყენეს.

სკოლა **„პოლიგლოტი“** მადლობას უხდის აშშ-ის სატყეო სამსახურს (USFS) და USAID-ს ასეთი საინტერესო პროექტის განხორციელებისათვის. ასევე, ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილეს ბატონ **ირაკლი ანდღულაძეს** და ნაძალადევის რაიონის კულტურის განყოფილების უფროსს ქალბატონ **თეა ხოფერიას**.

ბუნების მოვლა-პატრონობა ყველას ვალია. მწვანე საფარზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სკოლა **„პოლიგლოტის“** მოსწავლეებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისთვის ზრუნავენ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის პედაგოგები. აღნიშნული პროექტის მიზანიც ეს არის.

ნინო შეშაბერიძე,
სკოლა „პოლიგლოტის“
გეოგრაფიის მასწავლებელი,
რომან მოსეშვილი

თბილისის 48-ე საჯარო სკოლა გამორჩეულია

მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეტია

დიდი ხანია, თემქის დასახლებაზე 48-ე საჯარო სკოლამ სახელი გაითქვამოსახლეობაში. ახალმა დირექტორმა **ირმა ფუხაშვილმა** უკვე შეძლო სკოლის ინფრასტრუქტურისა და პრესტიჟის უფრო ამაღლება.

იგი დედაუნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, პროფესიით ისტორიკოსი. 2006 წლიდან 115-ე საჯარო სკოლაში მუშაობდა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლად, არის ორივე საგანში სერთიფიცირებული პედაგოგი. მესამე წელია 48-ე საჯარო სკოლის დირექტორია. როგორც თავად აღნიშნავს, არაჩვეულებრივი პედაგოგიური კოლექტივი დახვდა და საკმაოდ კარგი მოსწავლეთა კონტინგენტი. დირექტორისა და კოლექტივის მონდომებით გარემონტდა საკლასო ოთახები და სამასწავლებლო. ახალ სასწავლო წელს ოთხივე სართულზე უმაღლეს დონეზე მოწესრიგებული და შეცვლილი სველი წერტილებით შეხვდნენ, გაკეთდა ახალი გათბობის სისტემა და ქვაბები. მოსწავლეებს უკვე აქვთ თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი კომპიუტერის ოთახი, სადაც 30 კომპიუტერია ერთდროულად ქსელში ჩართული და ინგლისურის კაბინეტი. ასევე მოწესრიგებულია ექიმის ოთახი (ექიმი – **ნონა მოსიავა**). შექმნილია კარგი გარემო ინკლუზიური ბავშვებისათვის. **„შექმენი გარემო, აღიქვი შესაძლებლობა და განაპირობე განათლება“** – ეს არის რესურს ოთახის ძირითადი დევიზი, სადაც წარმოდგენილია ნამუშევრები: **„სიცოცხლის ხე, ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს, თანაბარი გარემო – თანაბარი პირობები, ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“**. ეს არის კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი მათთვის. სპეც. პედაგოგ **თამარ გოგიტაურს** 10 მოსწავლე ჰყავს. ჩვენ სწორედ მაშინ ვეწვიეთ, როდესაც ერთ-ერთი მათგანის – **გიორგი ბერუაშვილის** სოლო კონცერტისათვის, ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელ **ია ხოფერიასთან** ერთად, აფიშას ხატავდნენ. გიორგი ფორტეპიანოზე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს შეასრულებს. ამავე ოთახში ნახავთ მოსწავლე **ზურაბ ზარიძის**

გაგრძელება მე-5 გვ.

158-ე საჯარო სკოლა — სწავლაც, სპორტიც

ჯინჯო, კაკალა, ჯაფო და სხვანი

„ჯინჯო“ პასი!“, „კაკალ, დაარტყი!“, „ჯაფო, აწიე!“, „მახათ, მოვიდა!“, „ქუთა, აქეთ!“ჯინჯო **ლიზი ჯინჯოლიაა**, კაკალა – **მარიამ კაკალაშვილი**, ჯაფო – **ანი ჯაფიაშვილი**, მახათა – ხან, **ნუკა**, ხანაც – **ანა მახათაძეები**, ქუთა – **ნინო ქუთათელაძე**.

კიდევ: **მარიამ კუშლაძე, ნინო კენჭიაშვილი, ელენე გოგოლაძე და ლიკა ხუნაშვილი.**

ვინ არიან ეს გოგონები?

ისინი თბილისის 158-ე საჯარო სკოლის გოგონათა მინი-ფეხბურთის გუნდის წევრები არიან.

გამოიდარა და სკოლის ღია მოედანზე ლამის რიჟრაჟიდან ისმის მათი წკრიალა და აზარტული ხმები, მწვრთნელის – **გიორგი კობახიძის** შეძახილები და მითითებები.

158-ე სკოლა – დირექტორი, ქალბატონი **მაია მელქაძე**, ვისაც სკოლების ხელმძღვანელობის 14 წლის სტაჟი აქვს – ერთობ წარმატებულია: 3 ოქროს მედალოსანი, 4 წარჩინებულ მოსწავლეს IX კლასის დასრულებისას გადასცეს კომპიუტერები, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა **„წიგნის თაროში“** 300 სკოლიდან საუკეთესო 32 გუნდში მოხვდნენ.

ამას, სკოლის უნარიან ხელმძღვანელობასთან ერთად, პედაგოგთა ძლიერი კოლექტივიც განაპირობებს: **32 პედაგოგიდან 14 სერთიფიცირებულია. დანარჩენებიც ღირსეულად უბამენ მხარს კოლეგებს**.

წარმატებულ სწავლა-განათლებას წარმატებული ფეხბურთიც ერთვის. მით უფრო ფასეული, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა სპორტულ დარბაზს არ ითვალისწინებს და სკოლა ღია მოედნის ამარაა.

ასე დაიწყო: **გიორგი კობახიძემ** 2000 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია პედაგოგიკის განხრით და ამ სკოლაში მოვიდა სამუშაოდ. 2008 წელს დაიწყო გოგონათა პირველი გუნდის ჩამოყალიბება, ჯერ მხოლოდ ექვსმა მოზარდმა გამოთქვა სურვილი, მაგრამ მალე, მათი ვარჯიშების შემხედვარე, უკვე რიგი დადგა.

პირველი წარმატება პირველსავე წელს მოვიდა: გუნდმა რაიონულ, საქალაქო ტურნირებში გაიმარჯვა და მხოლოდ ფინალი დათმო ზუგდიდელებთან.

„ჭიამაია“ – ასე ერქვათ. ახლა კი **158-ელები** არიან – 2009, 2011, 2015, 2016 წლების თბილისის ჩემპიონია. კიდევ ერთი ფინალი დათმეს რუსთავის გუნდთან.

შეჯიბრებები ყოველწლიურად გაზაფხულობით იწყება და 25 ივნისს მთავრდება. მას ჯერ **„კილს-კუპი“** ერქვა. მერე და მერე **„კოკა-კოლა“** აფინანსებს. დიდია **საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობა**. ფინალები **„დინამოს“** ან **„ლოკომოტივის“** სტადიონებზე იმართებოდა. ბოლო ორი წელიწადია, გუნდები **კვარიათში** ჩაჰყავთ და ყველა პირობას უქმნიან.

158-ე სკოლის გოგონათა ფეხბურთის გუნდი წლეულსაც წარმატებით ასპარეზობს. აუცილებლად გავლენ ფინალში და სჯერათ, რომ ამჯერად ბოლო ბარიერსაც გადალახავენ. მანამდე კი მოედანზე ალიონიდან ისმის აზარტული: **„ჯინჯო პასი!“, „კაკალ, დაარტყი!“, „ჯაფო, აწიე!“, „მახათ, მოვიდა!“, „ქუთა, აქეთ!“**

ეკატერინე გურგენიძე

მე-4 გვერდიდან

ნახატების მშვენიერ გამოფენას. ყველაზე თვალშისაცემი კი სსმ ბავშვებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი გახლავთ, რო-

მელიც არ არის ყველა სკოლაში. ამიტომ არის, რომ ქალბატონ ირმას ბევრი მადლიერი მშობელი ჰყავს.

სკოლის პედკოლექტივი მომზადებული ხვდება ყველა ახალ ინოვაციას, პედაგოგები ჩართულები არიან სქემაში, აქტიურად ესწრებიან ტრენინგებს და ყველაფერს აკეთებენ სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. აქედან გამომდინარე სკოლის 51 პედაგოგიდან 21 სერთიფიცირებულია, ზოგიერთს თითო გამოცდა ჩაბარებული აქვს.

სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტმაც იმატა და მესამე წელია 3 პარალელური პირველი კლასია. ჰყავთ ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები, წელს ოქროს მედლის კანდიდატი მე-12 კლასელი **ლიკა მჭედლიშვილია**. ქალბატონ ირმას ყველა საქმეში აქტიურად უდგას მხარში დირექტორის მოადგილე **მაია ქალიაშვილი**. ამ სასწავლო წელს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მშობელი **თამარ კარკაძე** გახლავთ.

სასწავლო წელი შემოქმედებითად საკმაოდ დატვირთული იყო ეფექტიანი ღონისძიებებით. დაწყებითი კლასების პედაგოგმა **ლეილა ვაშაკიძემ** ჩაატარა **ანა კალანდაძის** შემოქმედებითი საღამო, რომელსაც პოეტის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. მე-3 კლასელებმა (ხელმძღვანელი – **მანანა ამაშუკელი**) – **„ქალი და სიყვარული, ქალი და გმირები, ქალი – უპირველეს დედაა, ქალის როლი კაცობრიობის ისტორიაში“.** ყველა დაწყებითი კლასი ატარებს **„შემოდგომის ზეიმებს“**, ბოლო ზარისთვის საგანგებოდ ემზადებიან მე-12 კლასელები.

სკოლაში მუშაობს 4 შეფასების ჯგუფი და ჰყავთ 4 ფასილიტატორი – **მარინე ღვინაძე, ნინო პეტრიაშვილი, თამარ გელენიძე** და **ნათია პაიჭაძე**, მათ გადანაწილებული ჰყავთ მასწავლებლები და აცნობენ სიახლეებს, ფასილიტაციას უწევენ, თუ როგორ იმუშაონ სქემაში.



მაღალი ხარისხის ევროპული სტანდარტების განათლების მისაღებად სკოლებში ახალ-ახალი ინოვაციები ხორციელდება. ამისთვის კი მართლაც დიდი შრომაა საჭირო. ამჟამად, სკოლაში 7 კათედრა ფუნქციონირებს, რომლებიც ცოდნის ხარისხის ასამაღლებლად აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებსა და ღონისძიებებში: ქართული ენისა და ლიტ. კათედრა (ხელმძღვანელი – **ეკა ბალიაშვილი**), მათემატიკა – **ნათია ჯიშკარიანი**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა – **ნინო მამარდაშვილი**, უცხო ენების – **ანა წამალაშვილი**, საბუნებისმეტყველო – **ნინო მრელაშვილი**, დაწყებითი კლასების – **მანიჟა ღონღაძე**, სპორტისა და ესთეტიკის – **ია ხოფერია**. სკოლაში მუშაობს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელსაც დირექტორი თავად ხელმძღვანელობს და ბევრ პროექტში გეგმავს მონაწილეობის მიღებას. როგორც ქალბატონი ირმა ამბობს: „ჩემი მიზანია – ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბავშვებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობა და განვახორციელოთ ერთობლივი პროექტები. მინდა, რომ მხოლოდ სტანდარტული გაკვეთილებით არ ინტერესდებოდნენ და გავზარდოთ მათი მოტივაცია საკლუბო მუშაობისადმი“.

მიგრაციის ცენტრმა, რომელიც გეგმავს პროექტს საქართველოში მცხოვრები უცხოელების ინტეგრაციის საკითხზე, გამოთქვა სურვილი ამ სკოლასთან ერთად განახორციელოს პროექტი და დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები.

22 მაისს დაიწყო განაცხადების მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში **„ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისება“**, სადაც სკოლას შეაქვს თავისი საპროექტო განაცხადი. მონაწილეობენ კონკურსში – **სად? რა? როდის?** ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში. ასე რომ, საკმაოდ საინტერესო მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს მთელი სკოლა.

ერთობლივი შემოქმედებითი, მიზანმიმართული, პატივისცემასა და გაგებაზე დაფუძნებული ურთიერთობით, **ირმა ფუხაშვილმა** შეძლო სასურველი გარემო შეექმნა როგორც მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის, ასევე იმ კოლექტივისთვის, რომელთან ერთადაც სურს ჯანსაღი თაობის აღზრდა.

ამ საქმეში თვალსაჩინო გამარჯვებას გისურვებთ!

ნათია გურგენიძე

ნომრის სტუმარია სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა – ნათელა მურადაშვილი“

მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი

სკოლა დაარსდა და ფუნქციონირება დაიწყო 1995 წლიდან. ამ ხნის მანძილზე მან ორჯერ, 2011-სა და 2016 წლებში წარმატებით გაიარა **აკრედიტაცია**. დაარსებიდან დღემდე სკოლა დაამთავრა 330-მა მოსწავლემ. მათ შორის ბევრი იყო სწავლაში წარჩინებული, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები და მოიპოვეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის გრანტები. 2008-2009 წლიდან სკოლას ჰყავს 13 მედალოსანი, მათ შორის 5 ოქროს მფლობელია.

სკოლის დამფუძნებელია მუყაითი, საქმისთვის თავდადებული ხელმძღვანელი როგორც ასპინძის რაიონში, ასევე საქართველოს დედაქალაქში განათლების ცნობილი მუშაკი, ქალბატონი **ნათელა მურადაშვილი**. იგი სკოლის დირექტორად მუშაობის 40 წელიწადს ითვლის.

დღეისათვის სკოლა-ლიცეუმ **„ცოდნა – ნათელა მურადაშვილის“** დამფუძნებელს, მხარში ერთგულად უდგას, სასწავლებლის დირექტორი **ლია კბილაშვილი**.

სკოლის კოლექტივის ძირითადი ამოცანაა ზრუნვა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, მომავალი თაობის პატრიოტულ, ესთეტიკურ, შრომით, აღზრდაზე სხვა მიმართულებებზე. ამაში დავრწმუნდი სკოლაში ორჯერ სტუმრობისას.

აქ მოსწავლეთა აღზრდა-განათლებას ემსახურება 22 მაღალკვალიფიციური პედაგოგი. (16-ს უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს): **ნათელა ტაბატაძე, ლია კბილაშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ნელი ბერიძე, თამთა ჩიტუნაშვილი** (მათემატიკა), **მაია აბდუშელიშვილი** (ფიზიკა), **ავთანდილ უჯმაჯურიძე, ეკა მაზიაშვილი** (ისტორია); **ნატო ბენაშვილი, მერი ხოხობაშვილი, ნინო გოგოხია** (ინგლისური); **ნანა ახალაია** (რუსული); **თამარ დოღონაძე** (ქიმია); **სოფო ვეკუა** (ბიოლოგია); **იზა კოპალიანი** (გეოგრაფია); **თეა არახამია, დალი ლეჟავა, ირინა კოპალიანი, შორენა ნაცვლიშვილი** (დაწყებითი კლასები); **ვერიკო გოცირიძე** (ხელოვნება); **დალი აბრამიშვილი** (ჭადრაკი); **ნათია გურასპაშვილი** (მუსიკა); **დიანა ცინცაძე** (ცეკვა). დირექტორის მოადგილე – **მაია ხარძიანი**, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი – **თამარ შუტაშვილი**.

სკოლაში არსებობს ოთხი საგნობრივი ჯგუფის კათედრა: სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერების – ხელმძღვანელი – **ეკა მაზიაშვილი**; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა – **მაია აბდუშელიშვილი**; უცხო ენათა – **მერი ხოხობაშვილი**; დაწყებითი განათლების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის – **ი. კოპალიანი**, რომლებიც კოორდინაციას უწევენ საგნების სწავლებას და ზრუნავენ მაღალი შედეგების მისაღწევად. პერიოდულად ტარდება მოდელირებული გაკვეთილები. ტრადიციად იქცა, თემატიკის მიხედვით, გასვლითშემაჯამებელი გაკვეთილების ჩატარება მთაწმინდის პანთეონში, საგურამოში, სვეტიცხოველში, ჩარგალში, პატარძეულში, კახეთში, სადაც ხდება შესწავლილი მასალის პრაქტიკულად განმტკიცება. პარალელურად ეს ხელს უწყობს ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კოლექტიურ

სვლას ხელოვნების, სახელმწიფო და ეთნოგრაფიულ მუზეუმებში, კინო–თეატრებში. შემდგომში ხდება შთაბეჭდილების ერთგვარი გაზიარება-შეჯამება.

სკოლის მოსწავლეები ყოველწლიურად აქტიურ მონაწილეობას იღებენ სარაიონო, საქალაქო თუ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში, კონკურსებში, ინტელექტუალურ შეჯიბრებებში და იკავებენ საპრიზო ადგილებს.

სკოლაში აქტიურად მოქმედებს მოსწავლეთა **თვითმმართველობა**, რომელშიც გაერთიანებულია 7 მოსწავლე. სკოლის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეთა **მშობლები**.

სკოლა აღჭურვილია სათანადო მოთხოვნათა შესაბამისად. მაღალ დონეზეა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა: საკლასო ოთახები თანამედროვე მერხებითა და ყველა საჭირო ინვენტარით, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო და სპორტული დარბაზი, საკომპიუტერო კლასი.

განზრახული აქვთ საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მემორანდუმის გაფორმება უმაღლეს სასწავლებლებთან და ერთობლივი ღონისძიებების, გაცვლითი გაკვეთილების ჩატარება ქალაქის სხვადასხვა სკოლებთან.

როცა საქმის ასეთი სიყვარულია, წარმატებები მეტი იქნება.

რომან მოსეშვილი

В МЭГУ НАЧАЛСЯ IV МЕЖДУНАРОДНЫЙ СТУДЕНЧЕСКИЙ ФОРУМ «ЕВРОПЕЙСКОЕ ПАРТНЕРСТВО»

Уже четвертый раз в Международный экономико-гуманитарный университет съехались представители иностранных делегаций из Грузии, Польши, Венгрии и Беларуси на Международный студенческий форум «Европейское партнерство».

Форум призван обобщить европейский и мировой опыт, развивать демократию в обществе и дать возможность студентам поделиться собственным опытом студенческого самоуправления. Важной частью такого мероприятия является непосредственное общение студентов из разных стран.

МЭГУ более полутора лет назад начал сотрудничество с Академией европейского образования в Тбилиси.

Партнерами четвертого форума являются: Дрезденский технический университет (Германия), Высшая школа социально-экономическая в Шрьоде Велькопольского (Польша), Белорусский государственный университет (Минск, Беларусь), Университет прикладных наук им. Яноша Кодолани (Венгрия), Университет Томас Бата (г.Злин, Чехия), Высокая школа международного менеджмента ISM (м.Прешов, Словадчина), Йоркский университет (США), Университетский колледж «Артезис» (Королевство Бельгия), Епископский университет им.Фридриха Шиллера (Германия), Академия Европейской образования (Тбилиси, Грузия), Высшая школа евро-региональной экономики им. Альча де Гаспери (Польша).

На данный момент студенты из зарубежья могут обучаться в Международном экономико-гуманитарном университете имени академика Степана Демьянчука по следующим специальностям: менеджмент, правоведение, туризм, программная инженерия, здоровье человека, начальное обучение, английский язык и литература.

За такой короткий срок сотрудничества обучаться по украинской программе решили 129 студентов из Грузии и 12 из Азербайджана. Сам процесс обучения максимально адаптирован к нуждам студентов, которые по договоренности не проходят весь курс непосредственно на территории МЭГУ имени академика Степана Демьянчука. В план входят сессионные поездки в город Ровно, что в Украине на срок от 7 до 10 дней, за время которых преподаватели начитывают курс профильных предметов и принимают зачеты и экзамены. Остальное время студенты проводят на парах вместе со своими коллегами в стенах Академии европейского образования в Тбилиси.

Украинские преподаватели специально разработали ряд курсов на русском языке, чтобы не возникало проблем с адаптацией студентов к учебному материалу. Как показала практика, никаких проблем у грузинских студентов не возникает. Скорее наоборот, большинство отмечает интересную подачу материалов и лояльный график, который включает различные сферы активности.

Отдельно стоит упомянуть также и о том, что грузинские студенты и преподаватели не только знакомятся в Международном экономико-гуманитарном университете имени академика Степана Демьянчука в Ровно с украинской культурой, но и щедро делятся собственными традициями.

Студентам из Грузии, кроме сессии, подготовили еще и насыщенную культурную программу. Одним из мероприятий которой стал совместный концерт в стенах МЭГУ под названием «Студенческая весна». На этот раз проведение фестиваля совпало с Международным студенческим форумом, а также с Днём вышиванки в Украине который в 2017 году приходится на 18 мая.

Этот праздник призван популяризировать украинскую культуру и традиции, и это очень символично, что гости приехали именно к этому дню. Поэтому они подготовились, и продемонстрируют и свою национальную одежду.

Международный студенческий форум продлится три дня, за это время на студентов и гостей ждут плодотворные диалоги, насыщенные тренинги, экскурсии и концерты. А именно: студенческая вечеринка, отдых на природе с палатками, тренинг «Знакомство», фитнес под. названием «Все вместе», а также презентация национальной кухни, караоке на лесной поляне, камеди шоу от участников форума и праздничная дискотека «Студенческий огонь - свет мира и дружбы ».

Кроме развлекательной программы еще больше помогает подружиться студентам из разных стран проживание по соседству в общежитии университета, которое для гостей абсолютно бесплатно. Редко когда общительные молодые люди не находят желания пообщаться, а узнав друг друга не теряют связь и продолжают поддерживать контакт через интернет.

Поэтому, в этом вузе студенты незабываемо проводят студенческие годы, а во время обучения и после его окончания свободно чувствовать себя в жизненном море.

ნიჭის გამოვლენის ასპარეზი

სახლი, სადაც შემოქმედებითი წვა და ფუსფუსია

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მართლაც ღირსეულ ადგილს იკავებს. აქ მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და მუხლჩაუხრელად ზრუნავენ მოსწავლეების აღზრდასა და ცოდნის ამაღლებაზე. ეს სახლი, უკვე 36 წელიწადია, განათლებასა მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. სამწუხაროდ, შენობა არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ ეს ცუდად არ ასახულა სწავლის ხარისხზე. 20 წელიწადია მოსწავლეთა სახლი, 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში, მე-2 სართულზეა განთავსებული. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

მოსწავლეთა სახლს სათავეში უდგას ღვაწლმოსილი პიროვნება, ინგლისური ენის პედაგოგი **ლიანა კოპალიანი.** იგი, 36 წელია დიდი რუდუნებით ემსახურება მასწავლებლის ამ საპატიო პროფესიას და ვინ მოთვლის ამ ხნის მანძილზე, რამდენი თაობის აღმზრდელია. მოსწავლეთა სახლში, ქალბატონი ლია, თავდაპირველად მეთოდისტად მუშაობდა, შემდეგ კი, ხელმძღვანელად აირჩიეს და უკვე, 30 წელია შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ საქმიანობას. იგი არაერთი წამოწყებისა და ნოვაციის ავტორია.

ამჟამად, მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა დასახელების საგნობრივი და ხელოვნების წრეები. ასევე, ასწავლიან ხატვას და ლათინო-ამერიკულ ცეკვებს. სწავლის ხარისხი მაღალია და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის სწავლებას. გაიცემა შესაბამისი დონის სერთიფიკატი. აქაური მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში.

სასწავლო პროცესს კი, მაღალკვალიფიციური პედაგოგები წარმართავენ. გაგაცნობთ წრის ხელმძღვანელებს, ესენია: **თეა ნოზაძე** – ისტორიის, **ნანა ბინაძე** – ინგლისური ენის, **რიტა რაზმაძე** – ქიმიის, **გურანდუხტ ქეცბაია** – მათემატიკისა და უნარეების, **მანანა ლაბაძე** – ქართული ენისა და ლიტერატურის, **თამარ მურველაშვილი** – ბიოლოგიის, **ბელა თოდუა** – ფიზიკის, **ნათია გაჩეჩილაძე** – მათემატიკის, **ხატია ცირეკიძე** – ინგლისურის, **ნათია თინიკაშვილი** – რუსული ენის, **გულნაზი კანდელაკი** – ფსიქოლოგიის, **დალიაბრამიშვილი** – ჭადრაკის, **ხათუნა ცხვედაძე** – ქართული ხალხური სიმღერები და **იზაბელა ქავთარაძე** – გიტარის წრის ხელმძღვანელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სახლში სულ 500 მოსწავლეა და აქ სოციალურად დაუცველთა სწავლა უფასოა.

როგორც ქალბატონმა ლიამ აღნიშნა: საგნობრივი წრეების ხელმძღვანელთა მუშაობის პრიორიტეტად მიიჩნევა **საატესტატო** და **ეროვნული გამოცდებისთვის** მოსწავლეთა **მომზადება**, რომელიც მიმდინარეობს სამუშაო გეგმის მიხედვით. აქაური მესვეურები ამაყობენ იმით, რომ მათი არაერთი კურსდამთავრებული, 100-პროცენტიანი დაფინანსებით ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, სხვადასხვა წრეებში, არაერთი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს. ესენია: **ნინო გათენაშვილი, ქეთევან ჭინჭარაული, მარიამ ფოცხიშვილი, ნინო მელქოლიანი, ანი შველიძე, გეილა ჩოჩია, სალომე ბედუკაძე, ანა უბირია, გოგი ლობჟანიძე, მედეა სულმანიძე, ნინა ავდალიანი, ელენე ხომერიკი, ლილი სალაძე, ილია პეტროსიანი, გიორგი ავაზანელი, მარიამ კერესელიძე, ანა ალუღიშვილი, ქეთევან ნუსხელაძე, მარიამ ხოხონიშვილი, ლიზი კორძაძე, ანა ხატიაშვილი, მარიამ გოლობიანი, ქეთევან ქსოვრელი, ანი ინწკირველი, ნანა ცომაია, ზურაბ ინწკირველი, ხატია ნადირაძე, ნათია ქავთარაძე და სოფიო საძაგლიშვილი.**

შესანიშნავი შედეგები აქვთ ნორჩ მოჭადრაკეებს: **გიორგი მენაბდეს და დეა ქარჩავას,** რომლებიც მე-5 თანრიგოსნები არიან. ასევე, ნიჭიერებით გამოირჩევიან **ნიკოლოზ დაბრუნდაშვილი, ლუკა რატიანი, ნინი ბაგაშვილი, გაბრიელ მგელაძე(6 წლის) და გიორგი დევდარიანი (5 წლის).**

დიდ აღიარებას და წარმატებებს მიაღწიეს ქართულ ხალხურ სიმღერათა და გიტარის გოგონათა ანსამბლმა. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურსებში. სულ მალე კი, ბათუმში გაემგზავრებიან საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ასე რომ, მოსწავლეების და მასწავლებლების შემოქმედებით საქმიანობას სასიხარულო ნაყოფი მოაქვს. მათ გზა დავულოცოთ ბათუმში!

საგულისხმოა, რომ **ლია კოპალიანის** ინიციატივით და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის **მანანა წნორიაშვილის** გვერდში დგომით, **გლდანის, ნაძალადევის, ისნის** და **საბურთალოს** რაიონების სახლებში დაინერგა ინგლისური ენის სწავლების ეფექტიანი მეთოდი სხვადასხვა დონეების მიხედვით.

ლიანა კოპალიანი: ჩვენი სახლი აქტიურად თანამშრომლობს დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ფილიალებთან. ხშირად ვიკრიბებით, ვაწყობთ კონფერენციებს და ერთმანეთს ვუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას. ახლახან, ერთობლივად ჩავატარეთ სლაიდ-შოუს პრეზენტაცია – თბილისის ღირსშესანიშნაობების ჩვენებით, სადაც მონაწილეობდნენ გლდანის, ისანი-სამგორის, ნაძალადევის, საბურთალოს და დიდუბის ფილიალების ინგლისური წრეების მოსწავლეები. აქვე, გაიმართა წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვება. პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა და სამომავლოდაც ვაპირებთ მსგავსი ღონისძიების ჩატარებას. ჩვენი მთავარი მიზანია: **მოსწავლეებმა სრულყოფილი ცოდნა მიიღონ და ჩვენგან კმაყოფილები წავიდნენ. აქვე მინდა საჯარო მადლობა გამოვუცხადო, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციას და ქალბატონ მანანა წნორიაშვილს,** რომელიც მუდამ გვერდში გვიდგას და ჩვენთან ნაყოფიერად თანამშრომლობს.

სამომავლოდ, მოსწავლეთა სახლი გეგმავს სწავლის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, სიახლეების დანერგვას, კიდევ მეტი ნიჭიერების გამოვლინებას. მოსწავლეების დაინტერესებას სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, ემოციური ღონისძიებების გამართვას, ოლიმპიადებისთვის თემების მომზადებას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას.

P. S. გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ახალ წარმატებებს უსურვებს სასახლის ყველა მოსწავლეს და თანამშრომელს!

მზია გოგოძე

სკოლა „გეტი“ იუბილარია — 10

აქ ყოველი წელი წარმატებული იყო და იქნება

სახელოვანი კერძო სკოლა **„გეტი“** მუდამ გამოირჩეოდა სწავლების მაღალი ხარისხით, ძლიერი პედკოლექტივით, ნიჭიერი მოსწავლეებით.

დირექტორი გახლავთ უაღრესად კეთილშობილი, ენერგიული, ერუდირებული, სიახლეებზე ორიენტირებული პედაგოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ლია ხარაზიშვილი**. სკოლაში დასაქმებულია 34 პედაგოგი, მათგან 14 – სერთიფიცირებულია. მას საერთო მიზნების და ამოცანების განხორციელებაში ერთგულად მხარში უდგანან სასწავლებლის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, გამოცდილი ფინანსისტი **ლიკა კობაიძე-ქოიავა**, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით საკითხებში, გამობრძმედილი პედაგოგი ფიზიკა-მათემატიკისა **ნანა მელქაძე**.

„გეტში“ აქტიურად ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც უნარიანად უძღვებიან: ტექნიკურ მეცნიერებათა კათედრას – **სოფიო მაისაია**, ქართული ენა-ლიტერატურისას – **ნანა ბაბუნაშვილი**, უცხო ენებისას – **ნატალია ქუმელაშვილი**, ფიზიკური აღზრდისა და ესთეტიკისას – **სოფიკო ეგუტიძე**, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **თამარ მოსეშვილი**.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს პედაგოგების: **ეკა კობაიძის, სოფიკო ეგუტიძის, ქეთევან მუმლაძის, ელენე შენგოს, სალომე ღონღაძის** და **გიორგი ბითაძის** გატაცებულ საქმიანობას.

ახალგაზრდა თანამშრომელმა **ეკა კობაიძემ**, რომელიც დიდი სიყვარულით სარგებლობს პედაგოგებსა და მოსწავლეებში, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკის შექმნა-მოწესრიგებაში. მისი თხოვნით, დირექციამ შეიძინა ბიბლიოთეკის მართვის ელექტრონული პროგრამა. მოსწავლეები დიდი ინტერესით ეუფლებიან წიგნის კითხვის კულტურას, კლასგარეშე ლიტერატურაზე მუშაობას.

მისასალმებელია, რომ **„გეტი“**-ს დირექცია ძალ-ღონეს არ იშურებს სკოლაში ახალგაზრდა კადრების მოსაზიდად, სასწავლო პროცესში ახალი ენერგიისა და ენთუზიაზმის შემოსატანად.

გასულ სასწავლო წელს დაწყებითი საფეხურის პედაგოგად დაასაქმეს „ილიას უნივერსიტეტის“ IV კურსის სტუდენტი **სალომე აბუთიძე**, რომელიც ნაყოფიერად უთავსებს ერთმანეთს პედაგოგობას და სწავლას. ასევე, დაწყებითი კლასების პედაგოგად მიიღეს დედაუნივერსიტეტის ახალი კურსდამთავრებული **სოფიკო ფარტენაძე**. იგი მაღალკვალიფიციური პედაგოგის **ხათუნა ბარდაველიძის** ხელმძღვანელობით ოსტატდება.

სკოლა არ ღალატობს თავის ტრადიციებს და სასწავლო წლის ბოლოს იმკის მთელი წლის განმავლობაში გაწეული შრომის ტკბილ ნაყოფს. მაღალია მოსწავლეების საატესტაციო გამოცდებზე მიღებული ქულები, კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მაჩვენებელი, მოპოვებული სახელმწიფო გრანტები, ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა.

„გეტელები“, მოქმედი და სკოლადამთავრებულები, აქტიურად იღვწიან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე.

გიორგი რაზმაძე სამეფო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია. **ირაკლი დოინჯაშვილი**, რომელიც ბავშვობიდანვე ქართველი მწერლებით იყო გატაცებული, უკვე საკუთარი წიგნის **„ნაადრევი სიბერე სიჭაბუკეში“** ავტორია. **თეონა ხუბულავა** საქართველოს ტელევიზიის I არხის საინფორმაციო გამოშვების თვალსაჩინო ჟურნალისტია. **ლუკა ლიფონავა** კი მუშაობს ფორმულა **„კრეატივში“**; არის სერიალ **„ხელოვნური სუნთქვის“** მარკეტინგის მენეჯერი, სერიალ **„ჩემი ცოლის დაქალების“** რამდენიმე სერიის რეჟისორი. **სოფო უზნაძე** შემდგარი დიზაინერია. მისი ნამუშევრები იყიდება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. შექმნილია ბრენდი **Fredo**. **სოფო ლუხატაშვილი** – მოდელი, წარმატებით მუშაობს ქართველ და უცხოელ დიზაინერებთან. **ლუკა გაგვა**, პროფესიონალი სამეჯლისო და სპორტული ცეკვების მოცეკვავე, შედეგიანად მოღვაწეობს პოლონეთში. **გოგა ყველაშვილი** ახალგაზრდული პარლამენტის წევრია და ორიენტირებულია დიდ პოლიტიკაზე.

თამაზ მჭედლიძე საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების წევრი და ლეგიონერია. თამაშობს საფრანგეთში – აჟენში. არის 4 შვილის მამა. **ლევან ჭელიძე** კი ტიტულოვანი მოჭიდავეა. საქართველოს ჩემპიონია ძიუდოში, სამბოში და ქართულ ჭიდაობაში. ტრაპზონის 2016 წლის მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონი და 2016-2017 წლებში ანტალიასა და ტულაში ჩატარებული ჩემპიონების თასის მფლობელია.

მართალია, ამჯერად სკოლის ცხოვრების ყველა სფერო ვერ გავაშუქეთ, მაგრამ, მთავარია, რომ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი მთელი შემართებით ირჯება და იხარჯება.

10 წლის იუბილეს გილოცავთ „გეტელებო“, ყოველი შემდეგი სასწავლო წელი წარმატებული ყოფილიყოს თქვენთვის.

ივერი მესხია

ღმერთმა დაგლოცოთ, 98-ე ბაგა-ბაღელებო!

აქ მუდამ ხალისიანი ჭრიამულია

თბილისის 98-ე საბავშვო ბაგა-ბაღში სტუმრობისას მოგხიბლავთ აქაური თბილი გარემო, პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და აღმზდელების თავდაუზოგავი შრომა. ბაღის შენობა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები ესთეტურად არის მორთულ-მოკაზმული. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზე მიმდინარეობს. აქაური მესვეურები შემოქმედებითად, გატაცებით უძღვებიან საქმეს და ცდილობენ პატარებს კრეატიული უნარ-ჩვევები განუვითარონ.

ბაღის ხელმძღვანელი გახლავთ, ენერგიული, დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი **თამილა მესხორაძე.** ქალბატონი თამილა უკვე შვიდი წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებას, ცდილობს პატარებისთვის მაქსიმალური კომფორტი შექმნას. მისი მოსვლის დღიდან ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი სიახლე დაინერგა.

აღსანიშნავია, რომ 98-ე ბაგა-ბაღი გარკვეული პერიოდი დახურული იყო, მაგრამ **ბაგა-ბაღების სააგენტოს** დახმარებით, 2010 წელს ხელახლა გაიხსნა და მოწესრიგდა. **თემურ თორდინავას** მხარში დგომით, აქ ბევრი რამ შეიცვალა, განახლდა ინტერიერიდა ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. ერთი სიტყვით, პატარებს სრული კომფორტი შეუქმნეს. გაიხარეს მშობლებმაც. როგორც დირექტორმა

გვითხრა, ბაღი გაიხსნა უბნის მოსახლეობის მოთხოვნით.

ბაღი პატარაა, მაგრამ აღსაზრდელების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. სულ 4 ჯგუფი და 160 ბავშვია. ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პრო-**

გაგრძელება მე-9 გვ.

ჩვენი გაზეთის გამოსვლის განრიგი არ ემთხვევა **1 ივნისს**. ამიტომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ცოტა ადრე აღვნიშნავთ. ამჯერად ცეროდენების გულს პოპულარული საბავშვო პოეტის **ნაირა ნიჟარაძის** ლამაზი ლექსებით გავახარებთ. **ილია სიხარულიძე**, **ნიკოლოზ ჩაჩავა**, **ნოდარ დუმბაძე**, **გივი ჭიჭინაძე**, **გიორგი წერეთელი**, **ლიდა სტვილია**, **ნოდარ შამანაძე**... ამ თაობის ღირსეული წარმომადგენელია **ნაირა ნიჟარაძე**. მეოცე საუკუნიდან მოდის იგი პოეტური ოპტიმიზმით და სისადავით. მეტად პროდუქტიული პოეტი გახლავთ. გაზეთის წინა ნომერში **ხელხვავიანი** ვუწოდეთ რედაქციაში მოტანილი ლექსთა თაიგულის **„ნუ შეწყვეტ სიმღერას!“** გამო. ახლახან კიდევ უფრო ბარაქიანი წიგნი **„მთა – მაღალზე, ტბის ნაპირას“** მოგვიტანა, სადაც მისი ლექსები ვაჟას სუნთქვით სუნთქავენ. პოეტი მინდიასავით ესაუბრება დედაბუნებას და პატარებს აყვარებს **„ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო“** საქართველოს.

არ დარჩენილა საბავშვო ჟურნალ-გაზეთები, სადაც პოეტს არ ეთანამშრომლოს. ნაირას

1 ივნისი ბავშვთა საერთაშორისო დღეა

ნაირა ნიჟარაძის ნობათი — ნორჩებს!

ლექსები შესული იყო სასკოლო სახელმძღვანელოებში. მას ცუგრუმელები ზეპირად ამბობდნენ და მღეროდნენ ბაგა-ბაღებში.

პოეტს ჰყავს თვალხატულა და ჭკვიანი შვილთაშვილი **ლუკა**. **ლუკა** ხომ ისტორიულ-ბიბლიური პერსონაჟია, ოთხიდან ერთ-ერთი სახარების ავტორი, ტოლერანტობის მამამთავარი: **„შევუნდოთ, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმონენ“**.

ქალბატონმა ნაირამ თავის შვილთაშვილს უძღვნა ციკლი ლექსებისა **„ლუკას სიმღერები“**. ასეთი ლუკა ბევრია საქართველოში. ამ სიტყვების ავტორსაც ჰყავს ნიჭიერი შვილიშვილი ლუკა. **იმრავლონ!**

ახლახან ლუკას თემატიკიდან პოეტმა ახალთახალი, ცინცხალი ლექსები მოგვიტანა. ყველა ლუკასა და საქართველოს, ყველა ცეროდენას კუთვნილებაა **ნაირა ნიჟარაძის** ეს ლექსები.



* * *

მეგობრები

ბაღში ლოყა გაბერილი
დახვდა ლუკა ჭანია,
– შენ წრიპა ხარ, –
ლუკას უთხრა,
შენთვის არა მცალია.

– წრიპა თუ ვარ, შენ კი თავი
გოლიათი გგონია?
დამეჭიდე, მაშინ ნახავ
რა ძალ-ღონე მქონია.

კაკალი

ლუკამ დათესა კაკალი,
ქოთანში ამოვიდესო,
მერე გადავრგავ ეზოში,
იზარდოს, ტოტებს ხრიდესო.

ბეკეკა

თურმე ამ ჩვენს ბეკეკას,
სამი შვილი გაუჩნდა,
– რა კარგია, რა კარგი,
ბებოს მეტი რა უნდა?

– წამიყვანე სოფელში,
მინდა ვნახო ციკნები,
ნუთუ მართლა სამია?
მათთან ერთად ვიქნები.

საქართველო

ეს ხომ საქართველოა,
ჩემია, განა სხვისია,
ჩემი დედის და მამისა,
და მაღლა კიდევ მზისია!

ფუტკარო

ფუტკარო, ფრინავ ბზუილით,
რად შემაშინე შენაო,
მასწავლე თაფლის მზადება
და შენებურად ფრენაო.

ფისო

დედას ჩაკვრია უბეში
პაწაწა ფისუნიაო,
ნანა, პატარავ, ნანინა
დედის ნუგეში გქვიაო.

ზრდილობიანი

ცაცხვის ძირას მწვანე მოლზე,
წითელი ხბო წამოწვა,
ძროხები რომ შემოვიდნენ,
მაშინათვე წამოხტა.

სირცხვილია

წითელქუდა ლენა,
არ გამოყო ენა,
თორემ სირცხვილია
შენზე იცინიან.

ჭამის წინ

რა ჭკვიანი ფისოა,
როს დაუდგეს ფაფები,
ვიდრე ჭამას დაიწყებდა,
გაიწმინდა თათები.

ორნი ძმანი

ორნი ძმანი თამაშობდნენ,
ნიკალა და თამაზა
ნიკა თამაზს გაუჯავრდა
და მუშტი უთავაზა.
ლუკა ჩხუბში ჩაერია.
– ბიჭო, ეს რა ჰქენიო
არ უნდა აპატიო?
ის ხომ ძმაა შენიო.
ძმამ ძმას განა უნდა სცემოს,
ეს არ არის კარგიო,
ერთმანეთი გადაკოცნეთ,
განაგრძეთ ნავარდიო.

წიგნი

რა დიდებული რამ არის,
გამაცნო მთელი მსოფლიო,
წიგნმა თქვა: ყური დამიგდე,
ვინ არის ჩემი სწორიო.
გამოგადგები მეგობრად,
მე ვარ ამ ქვეყნის განძიო,
გინდა ბრძოლაში ჩაება,
გინდა აკვანი არწიო!

ჭადრაკი

ჭადრაკს უზის ლუკა,
გამარჯვება უყვარს,
თუკი ბებოს აჯობებს,
ბებო წამსვე აკოცებს.

საბანი

ბებომ საბანი მიყიდა,
– უჰ, რა თბილია, რბილია,
– შენ არ შემოძვრე ფისუნავ,
საწოლი დაკეტილია.

ველოსიპედი

– ვინ გაჩუქა ეს ცისფერი,
დიდი ველოსიპედი?
– პაპამ, – მასწავლებელია,
– მას აქვს ჩემი იმედი...

სუპერმენი

სუპერმენი მაღლა ფრინავს,
არ ისვენებს, და არ ძინავს.
თვალებიდან ლაზერს ისვრის,
დახმარება კარგად იცის.
იქნებ მტერი სოხუმიდან,
კისრისმტვრევით გადადენოს,
დააბრუნოს დევნილები,
დაგვიბრუნოს მთა და მდელო!

მომნათლეს

– ჩამსვეს ემბაზში,
რისთვის ვტიროდი,
პატარა ვიყავ და არ ვიცოდი,
დიდმა ილიამ მომნათლა მრწემი,
არ დაელიოს ნათელი დღენი!

კვიპაროსი

– აშრიალდეს ხეივანი,
ამ ჩვენს ქალაქს მეც კი ვარგე,
პატრიარქის ნაჩუქარი,
ერთი კვიპაროსი ჩავრგე.

პედაგოგის დარდი

ვიყავ ბრწყინვალე მასწავლებელი,
და ბევრი ბავშვი მყავდა აღზრდილი,
ახლა სახლში ვარ გამოკეტილი,
ისე დავდივარ, როგორც აჩრდილი.
წუთისოფელი რარიგ ცოტაა,
ადამიანი, ვიცი, ცოდვაა,
იყო, ცხოვრობდა შრომობდა, ბჭობდა,
მოულოდნელად წაიქცა, მოკვდა.
მაგრამ დარჩება ბავშვების გულში,
ბუნებას ყოფნას არავინ უშლის,
არ იკარგება სიბრძნის თესლია,
თუ რამ სიკეთე დაგითესია.

მე-8 გვერდიდან

გრამაში“ და წელს 50 პატარას დაულოცავენ გზას სკოლისაკენ. აქ ხშირად იმართება სეზონური ზეიმები, სასწავლო ხასიათის გასართობი ღონისძიებები და ღია გაკვეთილები. ბაღის აღსაზრდელები და პედკოლექტივი მონაწილეობდნენ გამოფენაში **„პატარა ხელები“**, სადაც წარმოდგენილი ჰქონდათ ხელნაკეთი ნამუშევრები.

ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროში ყველა წარმატება მიღწეულია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის გუნდური ურთიერთობით, თავდადებული შრომით. ამიტომაც არის, რომ სკოლებიდან ხშირად იღებენ სამადლობელო წერილებს.

თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ: დირექტორის მოადგილე **მარიამ დოლიძე**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნათია მანჯავიძე**, საქმისმწარმოებლები **მზია გოგინაშვილი** და **ნათია კაციაშვილი,** ფსიქოლოგი **ნინო გამდლიშვილი**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მარინე ყელბერაშვილი,** ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი **მანანა ოდიშარია.**

დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების საქმიანობას. ქებას იმსახურებენ: **ნათია თედიაშვილი, მარიამ კანდელაკი, მაია ჩიხრაძე, ეთერ თოდუა და ლეილა მუნგერი.**

პატარებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ქეთევან ჩალაძე, ნანა ცერცვაძე, მაკა ბუბუტეიშვილი** და **თეა დოლიძე.**

ნორჩთა შემოქმედებით პროცესს შედეგიანად უძღვებიან მუსიკის პედაგოგი **ნინო ღამბაშიძე** და ცეკვის მასწავლებელი **ნანული აფციაური.**

ცუგრუმელების კვებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მათ გემრიელ, მარგებელ

კერძებს უმზადებენ გამოცდილი მზარეული **ბელა მეგრელიშვილი** და მისი დამხმარე **ნანული ეგრისელაშვილი.** ხაზგასასმელია, ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომა. ესენია: **ირმა მანაგაძე**, **მარიამ დოლბაძე, თამარ ნამგალაური, ზოია იოსებაშვილი, ნაზი მახარაშვილი** და **თამაზ ქოქრაშვილი.**

ცუგრუმელებისთვის უფრო ლამაზი, თბილი, მშობლიური გარემოს შესაქმნელად, გატაცებით ილვწის ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი. ამიტომაც, დღითიდღე მატულობს მადლიერ მშობელთა რიცხვი. თქვენ გაიხარეთ, ცეროდენებო!

მზია გოგოძე

„სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამ!“

ღვაწლმოსილი პედაგოგის იუბილე

რაოდენ სასიხარულოა, რომ **აღორძინებას** იწყებს ძვირფასი, ოღონდ ერთგვარად **დავიწყებული** ტრადიცია – ამადგარი მასწავლებლის იუბილის აღნიშვნა. ბოლო წლებში ეს ხომ იშვიათობად იქცა სკოლებში.

თბილისის 140-ე საჯარო სკოლაში ვარდობის თვე დანავარდობს და გარემოს ეშხითა და სურნელით ავსებს.

2017 წელი, 3 მაისი.

სკოლის სააქტო დარბაზში მოწვეული სტუმრები იკრიბებიან: სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები. ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ხელოვნების პედაგოგი **ია გაგუა**. უმშვენიერესი ქალბატონი, რომელიც გვაოცებს თავისი ნიჭით, შემოქმედებითა და საქმის ერთგულებით.

დღევანდელი საღამო განსაკუთრებულია და სიურპრიზებით სავსე.

ისმის მუსიკა. . სტუმრები მოუთმენლად ელოდებიან საღამოს გმირს. და აი, ისიც... დარბაზში შემოდის სკოლის კოლორიტი, ღვაწლმოსილი პედაგოგი – **ცია ბორცვაძე**. სტუმრები ტაშით ხვდებიან იუბილარს, ვაჟები ყვავილებით ეგებებიან უსაყვარლეს მასწავლებელს.

ქალბატონმა ციამ მხოლოდ ახლა გაიგო, რომ მის დაბადების დღეს აღვნიშნავდით, თვალები ცრემლით დაენამა, ყოველი წუთი სიურპრიზი იყო მისთვის.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ულამაზესი გოგო-ბიჭები: **ბექა ბურდიაშვილი, რატი მაღლაფერიძე, ლევან მიჭელაშვილი, ნუცა ვარდოშვილი, ანა ებიტაშვილი, თიკო დუნდუა, ელენე დუდაევა, გიორგი პატაშური, ლუკა** და **მარიამ ანჯაფარიძეები.** ისინი შთამბეჭდავად კითხულობდნენ ქალბატონი ციას ლექსებს: სამაჩაბლოზე, აღსაზრდელებზე, გაზაფხულზე, სიყვარულსა და წუთისოფელზე, სევდასა და სიხარულზე.

თითოეული ლექსი ამბავს გვიყვებოდა, თუ როგორ იცხოვრა, რა გზა განვლო ამ საოცარმა ქალმა .

კიდევ ერთი სიურპრიზი: ქალბატონ ციას საკუთარი ლექსების კრებული გადავეცით საჩუქრად, რომლის შექმნასა და გაფორმებაზე დიდი მონდომებითა და სიყვარულით იმუშავეს პედაგოგებმა: **ია გაგუამ, ნელი ენუქიძემ** და **ეკა ჟურულიშვილმა**.

ლექსს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას ლექსი. ეს ყველაფერი იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ უცრემლოდ ვერ მოისმენდი.

სიურპრიზი იყო ისიც, რომ **ნინო ბაწელაშვილმა** ქალბატონი ციას ერთ-ერთ ულამაზეს ლექსზე სიმღერა შექმნა და გიტარის თანხლებით შეასრულა.

მეც მომინდა მოვფერებოდი ჩემს ძვირფას მეგობარს და მისი საყვარელი სიმღერები ვუმღერე: **„ვერხვები“** და **„მაგნოლია“**. **ეკა ჟურულიშვილმა** ლექსი მიუძღვნა იუბილარს, **მაია კაჭარავამ** და **თამარ ნაკაშიძემ** სიმღერით დაამშვენეს საღამო.

იუბილარი აღფრთოვანებულია, ემოციას ვერ მალავს, მოუთმენლად ელის, როდის მიეცემა საშუალება, რომ სიტყვა წარმოთქვას.

და ეს დროც დადგა... ქალბატონმა ციამ უღრმესი მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, დირექციას, ყველა სტუმარს, ვინც ასეთი სიყვარული გამოხატა მის მიმართ.

„ვარ ძალიან ბედნიერი, რადგან უფალმა მარგუნა ეს საინტერესო პროფესია, რომელსაც „პედაგოგობა“ ჰქვია, გულში გიკრავთ ყველას და გეფერებით, მე თქვენით ვარ ძლიერი, თქვენ მიხანგრძლივებთ სიცოცხლეს და მაძლევთ სტიმულს, რათა ჩვეული ენერგიით გავაგრძელო ცხოვრება, შვიდ ათეულ წელს გადაცილებულმა პედაგოგმა“.

იუბილარმა საყვარელ მოსწავლეებს გულისამაჩუყებელი სიტყვებით მიმართა:

„როს დაგჭირდებათ სწავლება, გრძნობას დააზრობს სიცივე,
წარსული მოგენატრებათ, გაგახსენდებით, ვიცი, მე,
გამიცისკროვნეთ სიბერე, გამიმზიურეთ ფიქრები
და... მომიხსენეთ ლოცვებში, როცა მე აღარ ვიქნები“.

იუბილარი ძალიან ბედნიერია, ცრემლს ვერ მალავს. ბედნიერი და ამაყია ქალბატონი ციას ქალიშვილი – **ნინო ფერაძე**, ასევე წარმატებული პედაგოგი, რომელიც საღამოს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა.

ეს ლამაზი და ამაღელვებელი წუთები დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანისთვის.

მზია ბურდული,
140-ე საჯარო სკოლის
პედაგოგი

რედაქტორის მინაწერი: მადლობა უნდა მოვახსენოთ სკოლის დირექტორს **ნინო ასანიძეს**, რომელმაც უზრუნველყო ასე დიდებული, პედაგოგის ავტორიტეტის ამამაღლებელი ღონისძიების ჩატარება. **მივმართავთ ყველა სკოლის ხელმძღვანელს, აღორძინოს ეს მივიწყებული, მეტად ძვირფასი ტრადიცია. გაზეთ „სახალხო განათლება +“-ის რედაქცია ულოცავს დიდ პედაგოგს ცია ბორცვაძეს ამ დაუვიწყარ იუბილეს და ზღვა სიხარულს უსურვებს.**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე
ნომრის რედაქტორი კოტე გურგენიძე
სახალხო განათლება+ № 11 (4550)
24 მაისი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009